



განმცხადებელი (დამინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01231452564 განცხადების თარიღი: 25.05.2023
ხელმოწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/რომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

2023 წლის 24 მაისის N23.749.837 განკარგულებით მოწონებული მთავრობის თანხმობები საკრებულოში
გადასაგზავნი

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



წერილის ნომერი: **01-01231452564**
თარიღი: **25/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი N01230954134-67; N01230901585-67; N01231224208-67; N01231363096-67; N01231362525-67; N01231391804-67 განცხადებებით მოთხოვნილია, ქ. თბილისის ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებული ფუნქციური ზონის ცვლილება. აღნიშნული საკითხები „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-9, მე-10, მე-12 პუნქტების თანახმად, განხილულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და მოწონებული იქნა 2023 წლის 24 მაისის N23.749.837 განკარგულებით.

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, განსახილველად გიგზავნით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 24 მაისის N23.749.837 განკარგულება - 6 ფურცელი;

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი - 8 ფურცელი;

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი - 9 ფურცელი;

4. მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ პროექტი სულ - 16 ფურცელი.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიცირი
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 23.749.837
24 / მაისი / 2023 წ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2023 წლის 5 აპრილის N01230954134-67 განცხადებით ბაკურ სულაკაურმა (პ/ნ 01008002734) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.129) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა სკოლის განთავსების არეალში;

ბ) 2023 წლის 31 მარტის N01230901585-67 განცხადებით ზურაბ მურადაშვილმა (პ/ნ 31001011429) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელი დიდლოში, გურამ თოფჩიშვილის ქუჩა N2-ის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.021.412) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება;

გ) 2023 წლის 2 მაისის N01231224208-67 განცხადებით ნანი სანიკიძემ (პ/ნ 01026006918) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.03.505) გამწვანებული ტერიტორიის რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

დ) 2023 წლის 16 მაისის N01231363096-67 განცხადებით დავით ყაიბულაშვილმა (პ/ნ 01012022862) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში (საკადასტრო კოდი: N81.08.28.311) მდებარე მიწის ნაკვეთზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება;

ე) 2023 წლის 16 მაისის N01231362525-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში ემირ ბურჯანაძის ქუჩა N108-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.32.002.096) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ვ) 2023 წლის 19 მაისის N01231391804-67 განცხადებით რაისა არუთინოვამ (პ/ნ 01011022409) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სერგო დურმიშიძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.061.003) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.129) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა სკოლის განთავსების არეალში.



მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება - ახალი სასწავლო ბლოკის მშენებობა.

სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) არის სპეციალური ქვეზონა, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს. სპეციალური ზონა 1-ში (სპეცზ-1) დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე, საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 6 აპრილის N01230963591 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) ასაშენებელი სკოლის განთავსების არეალზე.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის N4/27952 წერილის შესაბამისად, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლე) და შპს „მწვანე სკოლა - დიდი დილომი“-ს (ს/ნ 211357020, ყოფილი: შპს „ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვები“) შორის 2011 წლის 19 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების (მასში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) თანახმად, მყიდველს ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით გადაეცა N01.10.06.006.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონება.

ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის, N01.10.06.006.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება და მისთვის საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება მუდმივად (მუხლი 3.1.2).

ამდენად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი, განხორციელდეს N01.10.06.006.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონებისთვის ფუნქციური ზონის ცვლილება იმ პირობით, რომ ხელი არ შეეშლება ხელშეკრულებით ნაკისრი, ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.129) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა სკოლის განთავსების არეალში, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „მწვანე სკოლა - დიდი დილომი“-ს (ს/ნ 211357020) შორის 2011 წლის 19 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით (მასში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) გათვალისწინებული ვალდებულების (ქონების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება და მისთვის საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება მუდმივად) შესრულების პირობით;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, გურამ თოფჩიშვილის ქუჩა N2-ის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.021.412) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის ლეგალიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 19 აპრილის N0123109247 წერილის შესაბამისად, საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობის ნაწილზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება დავით აღმაშენებლის ქუჩის გასწვრივ, საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე არეალზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, გურამ თოფჩიშვილის ქუჩა N2-ის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.021.412) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.03.505) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 5 მაისის N01231253790 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) ფენის მოხსნა საპროექტო არეალის (საკადასტრო კოდი: N81.02.03.505) სამხრეთ-დასავლეთით (საკადასტრო კოდი: N81.02.28.063) სამხრეთ-აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი: N81.02.03.536) და აღმოსავლეთით (საკადასტრო კოდი: N81.02.28.002) მდებარე მიწის ნაკვეთების ნაწილზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.03.505) და ასევე, მის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N81.02.28.063, N81.02.03.536, N81.02.28.002) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.28.311) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზეზს წარმოადგენს ბენზინ/დენზელ გასამართი სადგურის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 28 მარტის N16-01230872435 წერილის შესაბამისად N81.08.28.311 საკადასტრო ერთეულზე არის შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა.

ამასთან, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ზორციელდება საპროექტო ტერიტორიისა და ფაქტობრივად არსებულ გზას (სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1)) შორის არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე გავრცელებული სამრეწველო ზონა 1 (ს-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2).

ამასთან, საპროექტო ტერიტორიის ნაწილზე გავრცელებულია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენა რომელიც ვრცელდება ფაქტობრივად არსებულ მწვანე ნარგავებზე შესაბამისად აღნიშნული რჩება უცვლელად.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.28.311) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში ემირ ბურჯანაძის ქუჩა N108-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.32.002.096) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს N01.19.32.002.096 საკადასტრო ერთეულის პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 24 მაისის N0123144370 წერილის შესაბამისად, საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ტერიტორიაზე, რომელსაც ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ზორციელდება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, კერძოდ, ჩრდილოეთით, N01.19.32.002.008 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და სამხრეთ-აღმოსავლეთით, N01.19.32.002.094 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში ემირ ბურჯანაძის ქუჩა N108-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.32.002.096) და ასევე, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, N01.19.32.002.008 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და სამხრეთ-აღმოსავლეთით, N01.19.32.002.094 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში სერგო დურმიშიძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.061.003) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს N01.17.08.061.003 საკადასტრო ერთეულის მიმდებარედ - 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის დარეგისტრირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 24 მაისის N0123144629 წერილის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი ღობის ნაწილზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიური პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ზორციელდება N01.17.08.061.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში არსებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში სერგო დურმიშიძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.061.003) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება მისაღებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.129) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა სკოლის განთავსების არეალში, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „მწვანე სკოლა - დიდი დილომი“-ს (ს/ნ 211357020) შორის 2011 წლის 19 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით (მასში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) გათვალისწინებული ვალდებულების (ქონების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება და მისთვის საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება მუდმივად) შესრულების პირობით;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, გურამ თოფჩიშვილის ქუჩა N2-ის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.021.412) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება;

გ) ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.03.505) და ასევე მის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N81.02.28.063, N81.02.03.536, N81.02.28.002) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

დ) ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.08.28.311) და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება;

ე) ქალაქ თბილისში ემირ ბურჯანაძის ქუჩა N108-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.32.002.096) და ასევე, საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით, N01.19.32.002.008 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე და სამხრეთ-აღმოსავლეთით, N01.19.32.002.094 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ვ) ქალაქ თბილისში სერგო დურმიშიძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.061.003) ნაწილზე და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.


2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე





ქვემო ქართლი მხარის ტერიტორიის განვითარების
პროგრამის მიხედვით განისაზღვრულია
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების
და დამატებითი ძეგლების დაცვის
ზონების დანიშნულების რეგულაციები

ფუნქციური ზონები

ლეგენა

- ღანღამუტურ-სარეკლამაციო ზონა (ღსზ)
- საცხოვერებელი ზონა (სზ)
- საცხოვერებელი ზონა 1 (სზ-1)
- საცხოვერებელი ზონა 2 (სზ-2)
- საცხოვერებელი ზონა 3 (სზ-3)
- საცხოვერებელი ზონა 4 (სზ-4)
- საცხოვერებელი ზონა 5 (სზ-5)
- საცხოვერებელი ზონა 6 (სზ-6)
- საპულტო
- სამრეწველო ზონა 1 (ს-1)
- სამრეწველო ზონა 2 (ს-2)
- სანატარული ზონა (სანზ)
- სარეკლამაციო ზონა 1 (რზ-1)
- სარეკლამაციო ზონა 2 (რზ-2)
- სარეკლამაციო ზონა 3 (რზ-3)
- სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ)
- სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
- სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2)
- სატრანსპორტო ზონა 3 (ტზ-3)
- სატყეო
- საზოგადოებრივ-სამედიცინო ზონა 1 (სსზ-1)
- საზოგადოებრივ-სამედიცინო ზონა 2 (სსზ-2)
- საზოგადოებრივ-სამედიცინო ზონა 3 (სსზ-3)
- სამედიკალური ზონა 1 (სამეოზ-1)
- სამედიკალური ზონა 2 (სამეოზ-2)
- ბარემოს ღამეცევი ზონა 3 (ბმზ-3)

ქვემოქვეყნის ტერიტორია - ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით
 ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით
 ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით



1:30,000

ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: რევაზ ებრაღიძე

დამკვეთის ინფორმაცია: ბაკურ სულაკაური

მესაკუთრე: შპს „ქართულ-ავსტრიული სკოლა ფესვები“

მისამართი: ქალაქი თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N12ა


საკადასტრო კოდი : N01.10.06.006.129

მიზნობრიობა: სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაფართოება


<https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=306065&lrId=10880#/C=44.7597156-41.7944915@Z=17>

განცხადების ნომერი : N01230954134-67


ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6)-ის ცვლილება სპეციალური ზონა-1 (სპეცზ-1)-ით;

ცვლილების საერთო ფართობი: 13607 კვ.მ.

2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6), სარეკრეაციო ზონა-1 (რზ-1)

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
 საცხოვრებელი ზონა-6 (სზ-6) (13607კვ.მ)	 სპეციალური ზონა-1 (სპეცზ-1) (13607კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: 2023 წლის 6 აპრილის N 01230963591 წერილის შესაბამისად სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ფენა (რზ-1) ასაშენებელი სკოლის განთავსების არეალზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო: 2023 წლის N4/27952 წერილის შესაბამისად კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის, №01.10.06.006.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება და მისთვის საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება მუდმივად (მუხლი 3.1.2). ამდენად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი, განხორციელდეს №01.10.06.006.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონებისთვის ფუნქციური ზონის ცვლილება, იმ პირობით, რომ ხელი არ შეეშლება ხელშეკრულებით ნაკისრი, ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულებას.

არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: ზურაბ მურადაშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: ზურაბ მურადაშვილი

მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი დილომი, გურამ თოფჩიშვილის ქუჩა N2 - ის მიმდებარედ


საკადასტრო კოდი : N01.72.14.021.412-ის მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია

მიზნობრიობა: ლეგალიზაცია


<https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=303772&lrId=10880#/C=44.7424961-41.7691847@Z=17>

განცხადების ნომერი : N01230901585-67


ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)-ით

ცვლილების საერთო ფართობი: 97 კვ.მ.

2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1) (97კვ.მ)	საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1) (97კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: არ საჭიროებს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : 2023 წლის 19 აპრილის N0123109247 წერილის შესაბამისად სამსახური აღნიშნული ფუნქციური ზონის ცვლილების, საპროექტო მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრებში, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: პეტრე დემეტრაშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: ნანი სანაძე

მესაკუთრე: ნანი სანაძე

მისამართი: ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა


საკადასტრო კოდი : N81.02.03.505 და N81.02.28.063, N81.02.03.536, N81.02.28.002 რეგისტრაციების ნაწილზე

მიზნობრიობა: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა

<https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=320185&lrId=10880#/C=44.7288751-41.6550784@Z=17>

განცხადების ნომერი : N01231224208-67

ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტლური) ცვლილება.

ცვლილების საერთო ფართობი: 1245 კვ.მ.

2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1)

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
ურბანული გამწვანება (შიდა კვარტლური) (1245კვ.მ)	საცხოვრებელი ზონა-1 (სზ-1) (1245კვ.მ)


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: 2023 წლის 5 მაისის N01231253790 წერილის შესაბამისად სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : შესაძლებლად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება

არსებული ზონირებისა და გამწვანების ფენა



არსებული ფუნქციური ზონა რჩება უცვლელი



ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: დავით ყაიხულაშვილი

დამკვეთის ინფორმაცია: დავით ყაიხულაშვილი

მესაკუთრე: ზაური ოშაყმაშვილი / კახი მელელაშვილი / ნუგზარ ყაიხულაშვილი

მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარკეთილის მეურნეობა


საკადასტრო კოდი : N81.08.28.311 და მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორია

მიზნობრიობა: ბენზინ/დეზელ გასამართი სადგურის მშენებლობა.


<https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=321481&Irid=10880#/C=44.8966202-41.7064171@Z=17>

განცხადების ნომერი : N01231363096-67


ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: სამრეწველო ზონა-1 (ს-1)-ის ცვლილება სატრანსპორტო ზონა-2 (ტზ-2)-ით;

ცვლილების საერთო ფართობი: 1683 კვ.მ.


2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სამრეწველო ზონა-1 (ს-1), სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2), საცხოვრებელი ზონა-2 (სზ-2)

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
სამრეწველო ზონა-1 (ს-1) (1683კვ.მ)	სატრანსპორტო ზონა-2 (ტზ-2) (1683კვ.მ)


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენა რჩება უცვლელი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : 2023 წლის 18 მარტს სააგენტოში შეთანხმებულია საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა N16-01230872435; 2023 წლის 18 მაისის N0123138471 წერილის შესაბამისად, სამსახური, სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება რჩება უცვლელი



ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: სსიპ ქონების მართვის სააგენტო

მესაკუთრე: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი

მისამართი: ქალაქი თბილისი, ემირ ბურჯანაძის ქუჩა N 108-ს მიმდებარედ


საკადასტრო კოდი : N01.19.32.002.096, N01.19.32.002.008-ის ნაწილი,
01.19.32.002.094-ის ნაწილი

მიზნობრიობა: პრივატიზება


<https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=319566&Irid=10880#/C=44.9160826-41.6595805@Z=17>

განცხადების ნომერი : N01231362525-67


ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ის ცვლილება სპეციალური ზონა-1 (სპეცზ-1)-ით;

ცვლილების საერთო ფართობი: 269 კვ.მ.

2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1) (269კვ.მ)	სპეციალური ზონა-1 (სპეცზ-1) (269კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: არ საჭიროებს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : 2023 წლის 24 მაისის N0123144370 წერილის შესაბამისად, საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ტერიტორიაზე, რომელსაც ფაქტობრივად არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია შესაბამისად სააგენტო თანახმაა განხორციელდეს მოტხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება.

ადგილმდებარეობა



დაინტერესებული პირი: სერგო არუთინოვი

დამკვეთის ინფორმაცია: რაისა არუთინოვა

მესაკუთრე: რაისა არუთინოვა

მისამართი: ქალაქი თბილისი, სერგო დურმიშვიძის ქუჩა N8


საკადასტრო კოდი : N01.17.08.061.003-ნაწილზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელი ტერიტორია

მიზნობრიობა: რეგისტრაცია


<https://maps.tbilisi.gov.ge/?orgId=1&objId=321192&lrId=10880#/C=44.8450233-41.6900979@Z=20>

განცხადების ნომერი : N01231391804-67


ფუნქციური ზონირება 2014-2018



არსებული ზონირება



მოთხოვნილი ზონირება



მოთხოვნის ტექსტი: სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)-ის ცვლილება საცხოვრებელი ზონა (სზ)-ით;

ცვლილების საერთო ფართობი: 10 კვ.მ.

2014-2018 წლის გენერალური გეგმის ფუნქციური ზონირების რუკით ვრცელდებოდა სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)

არსებული ზონირება	მოთხოვნილი ზონირება
სატრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1) (10კვ.მ)	საცხოვრებელი ზონა (სზ) (10კვ.მ)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიცია: არ საჭიროებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიცია : 2023 წლის 24 მაისის N0123144629 წერილის შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი ღობის ნაწილზე და შესაბამისად, არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის - თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2023 წლის 5 აპრილის N01230954134-67 განცხადებით ბაკურ სულაკაურმა (პ/ნ: 01008002734) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.129) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა სკოლის განთავსების არეალში;

ბ) 2023 წლის 31 მარტის N01230901585-67 განცხადებით ზურაბ მურადაშვილმა (პ/ნ: 31001011429) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელი დილომი, გურამ თოფჩიშვილის ქუჩა N2-ის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.021.412) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება;

გ) 2023 წლის 2 მაისის N01231224208-67 განცხადებით ნანი სანიკიძემ (პ/ნ: 01026006918) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.03.505) გამწვანებული ტერიტორიის რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

დ) 2023 წლის 16 მაისის N01231363096-67 განცხადებით დავით ყაიბულაშვილმა (პ/ნ: 01012022862) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობაში (საკადასტრო კოდი: N81.08.28.311) მდებარე მიწის ნაკვეთზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება;

ე) 2023 წლის 16 მაისის N01231362525-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში ემირ ბურჯანაძის ქუჩა N108-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.32.002.096) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება;

ვ) 2023 წლის 19 მაისის N01231391804-67 განცხადებით რაისა არუთინოვამ (პ/ნ: 601011022409) მოითხოვა ქალაქ თბილისში სერგო დურმიშიძის ქუჩა N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.08.061.003) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.129) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა სკოლის განთავსების არეალში.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება - ახალი სასწავლო ბლოკის მშენებობა.

სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1) არის სპეციალური ქვეზონა, რომელიც მოიცავს არსებულ/დაგეგმილ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო, ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ტერიტორიებს. სპეციალური ზონა 1-ში (სპეცზ-1) დასაშვებია სასწავლო, სამედიცინო კომპლექსები, სამეცნიერო-კვლევითი, სამეცნიერო-საწარმოო და კულტურის დაწესებულებების, აგრეთვე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო ობიექტების განთავსება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 6 აპრილის N01230963591 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) ასაშენებელი სკოლის განთავსების არეალზე.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის N4/27952 წერილის შესაბამისად სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს უფლებამონაცვლე) და შპს „მწვანე სკოლა - დიდი დილომი“-ს (ს/ნ 211357020, ყოფილი: შპს „ასი ათასი მოწამის სახელობის სკოლა ფესვები“) შორის 2011 წლის 19 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების (მასში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) თანახმად, მყიდველს ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით გადაეცა №01.10.06.006.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონება.

ხელშეკრულების თანახმად, კომპანიამ იკისრა რიგი ვალდებულებები, მათ შორის, №01.10.06.006.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება და მისთვის საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება მუდმივად (მუხლი 3.1.2).

ამდენად, სააგენტო არ არის წინააღმდეგი, განხორციელდეს №01.10.06.006.129 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქონებისთვის ფუნქციური ზონის ცვლილება, იმ პირობით, რომ ხელი არ შეეშლება ხელშეკრულებით ნაკისრი, ზემოაღნიშნული ვალდებულებების შესრულებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა N12ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.006.129) საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა სკოლის განთავსების არეალში, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და შპს „მწვანე სკოლა - დიდი დილომი“-ს (ს/ნ 211357020) შორის 2011 წლის 19 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით (მასში განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით) გათვალისწინებული ვალდებულების (ქონების საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება და მისთვის საგანმანათლებლო პროფილის შენარჩუნება მუდმივად) შესრულების პირობით;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელი დილომი, გურამ თოფჩიშვილის ქუჩა N2-ის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.021.412) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო ტერიტორიის ლეგალიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიური პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 19 აპრილის N0123109247 წერილის შესაბამისად საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) ვრცელდება ფაქტობრივი შენობა-ნაგებობის ნაწილზე და არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში წარმოქმნილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიური პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება დავით აღმაშენებლის ქუჩის გასწვრივ, საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავე არეალზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, სოფელი დილომი, გურამ თოფჩიშვილის ქუჩა N2-ის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.021.412) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელი ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N81.02.03.505) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 5 მაისის N01231253790 წერილის შესაბამისად, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არელების ფენის მოხსნა.

